ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 5

19 დეკემბერი 2025 წ. **ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2**
12:00 სთ

მოწვეული სტუმარი:
საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქაძე
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი -გიორგი კობიაშვილი
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,
კომისიის წევრები- გიორგი დოხტურიშვილი,ბექა მიქაუტაძე,ზურაბ აბაშიძე,ლევან აბაშიძე,ალექსანდრე მუკათარიძე,მამუკა ხაბარელი, ვაჟა კოკაია,დავით ფანჯაკიძე,ირაკლი ბენდელიანი
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი:
1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება. **საკრ.№12-032535142-03 17/12/2025**
2. „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. **საკრ.№12-032534339-03 9/12/2025**
3. ,,ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.288) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.
საკრ.№12-032534638-03 12/12/2025
4. ,,ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N87ზ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.004.132.01.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.**საკრ.№12-032534638-03 12/12/2025**
5. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032534340-03 9/12/2025**
6. ,,ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.
საკრ.№12-032534228-03 8/12/2025
7. ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში არსებული N154 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.083.01.01.154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032533994-03 5/12/2025**
8. ,,ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N34-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.032.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.**საკრ.№12-03253527-03 18/12/2025**
9. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯემალ ახობაძისთვის (პ/ნ: 01024032994) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.**საკრ.№12-032534431-03 10/12/2025**
10. ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში მდებარე 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი აი ინოვეიშენისთვის“ (ს/ნ 404702684) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე
საკრ.№12-032533993-03 5/12/2025
11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსს“ (ს/ნ: 405680348) შორის 2024 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-801-1-30561 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული

პირგასამტეხლოსგან შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსის“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032534227-03 8/12/2025**

12. „ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა N30-ში მდებარე N01.19.37.016.233, N01.19.37.016.234, N01.19.37.016.237, N01.19.37.016.238 და N01.19.37.016.239 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობიდან ეტაპობრივად, შესაბამისი პროპორციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი, ჯამურად 1000 კვ.მ ფართის ნაწილის (118 კვ.მ)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების თაობაზე“ . **საკრ.№12-032533844-03 4/12/2025**

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის N496 განკარგულებაში ცვლილების შესახებ.**საკრ.№12-03253461-03 12/12/2025**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით.

კერძოდ: **იზრდება** გრანტების ნაწილში მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 20,0 ათასი ლარით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 19 ნოემბრის MOH 3 25 01322369 წერილი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს - 2 353 808,4 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: **იზრდება** გზების მოვლა - შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 252,0 ათასი ლარი, გზები მოვლაშეკეთება კრწანისის რაიონში - (კოდი 01 01 16) – 420,0 ათასი ლარი, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) – 120,0 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 855,0 ათასი ლარი, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) – 380,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები - 5 965,5 ათასი ლარი, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 219,9 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 11,0 ათასი ლარი, ტრანსპლატაცია (კოდი 06 01 13) – 250,0 ათასი ლარი, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) – 5,0 ათასი ლარი, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი (06 02 09) -1 850,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) – 140,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 15) – 118,6 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 08) – 120,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 27,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 186,5 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი: 06 02 18 13) – 88,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) – 2 55,0 ათასი ლარი, პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 27) – 20,0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 2 400,0 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 70,0 ათასი ლარი, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) -150.0 ათასი ლარი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) – 19,4 ათასი ლარი, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი 08 01 05) – 14,9 ათასი ლარი, სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) – 17,9 ათასი ლარი, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 275,0 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) - 740,0 ათასი ლარი, საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) – 10,0 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 500,7 ათასი ლარი, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 06 06) –

საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) პროგრამის ასიგნებები – 10,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 08 11 06) ქვეპროგრამის ასიგნებები – 15,0 ათასი ლარი, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) პროგრამის ასიგნებები - 24,2 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (10 22) – 300,0 ათასი ლარი.

მცირდება გზების მოვლა - შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები – 96,2 ათასი ლარი, გზების მოვლა - შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) - 3,2 ათასი ლარი, გზების მოვლა - შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 15,9 ათასი ლარი, გზების მოვლა - შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 544,0 ათასი ლარი, გზების მოვლა - შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 183,6 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01 01) პროგრამის ასიგნებები - 380,0 ათასი ლარი, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) – 89,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 855,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 109,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 897,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 100,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 149,2 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 132,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 420,0 ათასი ლარი, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 580,0 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) – 115,5 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) – 32,6 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) – 147,7 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) – 30,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) – 92,9 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) – 47,2 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 3 05 01 11) – 211,2 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 120,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) – 90,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) – 21,8 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 244,0 ათასი ლარი, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი 06 01 08) – 80,0 ათასი ლარი, რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 10) – 95,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) – 350,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 80,0 ათასი ლარი, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი 06 02 03) – 11,0 ათასი ლარი, სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) – 32,9 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 02 08) – 1 137,7 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 14 11) – 85,3 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება სამგორის რაიონში (კოდი 06 02 14 13) – 62,2 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 14 14) – 1,2 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 15 07) – 6,7 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 15 09) – 3,6 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 15 12) – 3,9 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 15 13) – 1,8 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 15 15) – 7,9 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 15 16) – 5,3 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 16 07) - 12,1 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) – 4,7 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) – 81,5 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) – 4,5 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 17 07) – 4,5 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 17 12) – 2,7 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ისნის რაიონში (კოდი 06 02 17 13) – 4,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 36,5 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 23,6 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში

(კოდი: 06 02 18 15) – 31,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი: 06 02 18 16) – 28,5 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) – 52,4 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) 4 – 60,0 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) – 30,0 ათასი ლარი, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) - პროგრამის ასიგნებები - 122,6 ათასი ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) ქვეპროგრამის ასიგნებები – 130,0 ათასი ლარი, ფიზიკური დატვირთვების სკრინინგი (კოდი 08 06 08) - 150,0 ათასი ლარი, შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 08 11 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 20,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) – 0,6 ათასი ლარი, მერიის ადმინისტრაციის ხარჯები (კოდი 10 02 01) – 2 105,1 ათასი ლარი, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) პროგრამის ასიგნებები – 5 220,9 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) - 83,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 100,0 ათასი ლარი,. გარდა ამისა, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ფარგლებში, მცირდება ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება - 1 ერთეულით, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის (კოდი 07 06 01) მომუშავეთა რიცხოვნობა - 6 ერთეულით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის (კოდი 08 01 01) მომუშავეთა რიცხოვნობა - 3 ერთეულით, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრის (კოდი 08 01 05) მომუშავეთა რიცხოვნობა - 1 ერთეულით, ცხოველთა მონიტორინგის (კოდი 09 02) პროგრამის ფარგლებში, სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა - 2 ერთეულით, ხოლო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21) მომუშავეთა რიცხოვნობა იზრდება - 9 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში შემცირდა 4 ერთეულით და განისაზღვრა 4945 ერთეულით.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების შეკითხვებზე განმარტებების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების“ საკრებულოს სხდომაზე გატანის საკითხი.

მომხრე-9, წინააღმდეგი-0, თავი შეიკავა- დავით ფანჯაკიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისის წევრებს წარუდგინა გიორგი კობიაშვილმა.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ,,მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114) და შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის გასატარებელი ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემისა და N01.10.13.015.114 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმების თაობაზე“ 2025 წლის 13 ივნისის N25.990.1105 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, განკარგულების დანართი N1, N2 და N4-ით, გათვალისწინებული უძრავი ქონებების ამავე დანართებითა და დანართი N3-ით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებს (ან კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ უფლებამონაცვლე/უფლებამოსილ პირებს) საკუთრებაში უნდა გადაეცეს ამავე დანართებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართები, თითოეულს სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად. ამავე განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ევალება, დანართებით განსაზღვრულ პირებთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გააფორმოს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ზემოაღნიშნული განკარგულების გათვალისწინებული მოქმედებები შეთანხმებულია „მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114) და შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის გასატარებელი ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემისა და N01.10.13.015.114 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 ივნისის N240 განკარგულებით. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაევალა ამავე განკარგულების დანართებით გათვალისწინებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, *შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება,* ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 ივნისის N240 განკარგულების გამოცემიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში, ხოლო აღნიშნულ ვადად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 ოქტომბრის N25.1686.1915 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 9 ოქტომბრის N464 განკარგულებების საფუძველზე, განისაზღვრა 2026 წლის 7 ოქტომბერი.

ვინაიდან, მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის N 25.1757.1980 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის N495 განკარგულებების გამოცემის შემდეგ, ამ განკარგულებების დანართი 1-ში 22-ე ნომრად მითითებულმა პირმა - გელა ბიტარიშვილმა თავისი მოთხოვნის უფლებები, მათ შორის მითითებული განკარგულებებით განსაზღვრული საცხოვრებელი ფართის მიღების უფლება, სრულად დაუთმო ილია ბიტარიშვილს ცესიის/მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე (სანოტარო აქტის ნომერი N251634769),

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის განკარგულებაში და საცხოვრებელი ფართის მიმღებ პირად განისაზღვრება ილია ბიტარიშვილი.

მომხრე-10, წინააღმდეგი-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.288) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში, პირველ სართულზე არსებული ბინა N288-ი ფართით 74.78 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.288) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (14 ოჯახს), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი წლების განმავლობაში (2002 წლიდან) ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-10, წინააღმდეგი-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ",ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.288) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე", საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N87ზ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.004.132.01.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N87ზ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, პირველ სართულზე არსებული 38.51 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.13.06.004.132.01.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 1 პირს (1 ოჯახს) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი 1994

მომხრე-10, წინააღმდეგი-0
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N87ზ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.004.132.01.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ვაკის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, განკარგულების დანართი 1-ში მითითებულ პირთათვის(5 პირი(ოჯახი) ჯამში საცხოვერებლი ფართი 264,25 კვმ), რომლებიც წარმოადგენენ ყოფილი N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებს, საკუთრებაში გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული პირები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით, რაც დასტურდება მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობ(ებ)ითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილებით.
მომხრე-10, წინააღმდეგი-0
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 6 პირს (6 ოჯახს) , რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, საერთო ჯამში გადაეცემათ 112.99 კვ.მ ფართი
შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირები ოჯახთან ერთად 2017 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.
მომხრე-10, წინააღმდეგი-0
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა ,,ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში არსებული N154 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.083.01.01.154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, მ. ალექსიძის ქუჩაზე დაგეგმილია ინფრასტრუქტურულ ღონისძიებები, კერძოდ ხორციელდება გზის კაპიტალური მოწყობის სამუშაოები, რომლის ფარგლებში მიზანშეწონილია ალექსიძის ქ. N7-ის მიმდებარედ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.10.13.040.110) ადგილზე საგზაო ინფრასტრუქტურის და რეკრეაციული სივრცის მოწყობა.
მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნულ შენობაში 1996-1997 წლებიდან ცხოვრობს ოჯახი, რასაც ადასტურებს გამგეობის საუბნო განყოფილების მოკვლევა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთვარი სამმართველოს V სამმართველო.
გამგეობის წერილით წარმოდგენილია აღნიშნული პირის განცხადება, რომლითაც, თხოვს ალტერნატიული ფართის გადაცემას, ვინაიდან ფლობს ინფორმაციას მის მიერ ფაქტობრივად დაკავებულ მისამართზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. მოქალაქე ითხოვს თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქ. N7ბ-ში არსებული N154 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.083.01.01.154) საკუთრებაში გადაცემას, მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სანაცვლოდ. ასევე, გამოთქვა მზაობა,

N01.19.20.020.083.01.01.154 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ბინის მის საკუთრებად საჯარო რეესტრში დარეგისტრირების დღიდან 3 (სამი) თვის ვადაში.
საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში ალექსიძის ქ. N7-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.10.13.040.110) ტერიტორიის გამოყენების საჭიროებიდან გამომდინარე, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი ბინის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ლაშა მაისურაძისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას, ალექსიძის ქ. N7-ის მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებაზე უარის თქმის და კონკრეტულ ვადაში მისი გამოთავისუფლების პირობით.
მომხრე-10, წინააღმდეგი-0
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა,ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში არსებული N154 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.083.01.01.154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე,საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N34-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.032.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N34-ში კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.032.017) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (2 ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.
აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ *117.8 კვ.მ ფართი*
შსს-ს ცნობებით და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,ერთობის'' კრების ოქმით დგინდება, რომ აღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 2012 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-10, წინააღმდეგი-0
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა,,,ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N34-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.032.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე",საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯემალ ახობაძისთვის (პ/ნ: 01024032994) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, ჯემალ ახობაძეს ღია კაფეს მოწყობის მიზნით. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, ჯემალ ახობაძის თანასაკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N43/თამაზ გამყრელიძის ქუჩა N2-ში არსებული N01.16.05.021.016.01.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 78.35 კვ.მ უძრავი ქონება.
მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დადებითი წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ საბჭომ. აღნიშნული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ამასთან, საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა.
წარმოდგენილი პროექტით, განიხილება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის 5 (ხუთი) წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 3360

მომხრე-10, წინააღმდეგი-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა,ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ჯემალ ახობაძისთვის (პ/ნ: 01024032994) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“,საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში მდებარე 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი აი ინოვეიშენისთვის“ (ს/ნ 404702684) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში მდებარე 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 13 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა, შპს „ჯი აი ინოვეიშენის“ ღია კაფეს მოსაწყობად. კომპანია იჯარით ფლობს ათონელის ქ. N13/ფურცელაძის ქ. N28-ში არსებულ ფართს (ს/კ: N01.18.03.007.035.01.010), 31.03.2025წ. იჯარის ხელშეკრულებით, 6 წლის ვადით.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება,რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 13 კვმ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, აღნიშნული ობიექტის განთავსების (მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამების, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების, სტაციონარული ქოლგების გარეშე) წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 3,5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო, ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 3,5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ჯი აი ინოვეიშენისთვის“ იჯარით გადაცემას, 2 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 3900 ლარის ოდენობით.

მომხრე-10, წინააღმდეგი-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ **რეკომენდაცია მისცა**,ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში მდებარე 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი აი ინოვეიშენისთვის“ (ს/ნ 404702684) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე,საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსს“ (ს/ნ: 405680348) შორის 2024 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-801-1-30561 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსის“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსს“ შორის 2024 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-801-1-30561 ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონში გამარჯვებულს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ბერძნის ქუჩა №39-ის მიმდებარედ არსებული 819.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.18.04.020.326) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 .

პრივატიზებული ქონების მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანების შედეგად ფორმირებულია №01.18.04.020.340 საკადასტრო ერთეული.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუქციონის პირობების „გ“ პუნქტის თანახმად, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან არაუგვიანეს 5 თვის ვადაში უზრუნველყოს არსებული შენობის დემონტაჟი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელშეკრულების მე-7 პუნქტის თანახმად, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დასტურდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტირებული სხვა აუდიტორული კომპანიის/აუდიტორის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით, რომლის მომზადებასაც უზრუნველყოფს და სააგენტოს წარუდგენს აუქციონში გამარჯვებული.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, სააგენტოს მიერ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცა 2024 წლის 26 დეკემბერს, №01.18.04.020.326 საკადასტრო ერთეულზე განთავსებული **შენობის დემონტაჟი უნდა განხორციელებულიყო არაუგვიანეს 2025 წლის 26 მაისისა.**

შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსის“ წარმოდგენილი, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო

გამარჯვებულის მიერ, ხელშეკრულების „გ“ პუნქტით ნაკისრი ვალდებულება შესრულდა ვადის დარღვევით, კერძოდ, 2025 წლის 26 მაისის ნაცვლად 2025 წლის 21 აგვისტოს.
სააგენტოს 2025 წლის 7 ნოემბრის წერილით აუქციონში გამარჯვებულს ეცნობა, რომ ვინაიდან ხელშეკრულების „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულდა ვადის დარღვევით, ამავე ხელშეკრულების მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, 2025 წლის 27 მაისიდან 2025 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით პერიოდზე **ეკისრება პირგასამტეხლო - ჯამურად 44 405,58 (ორმოცდაოთხი ათას ოთხას ხუთი ლარი და ორმოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით. ამასთან, აღნიშნული თანხის გადასახდელად მხარეს განესაზღვრა 1 (ერთი) თვიანი ვადა.**
საპრივატიზებო ქონებაზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელმაც გამოიწვია დემონტაჟის ვადის დარღვევა და რომელიც კომპანიის ძალებით თავიდან აცილებას არ ექვემდებარებოდა, შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსის“ წარმომადგენელმა ითხოვა დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.
წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუქციონის პირობების „გ“ პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის **დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამურად - 44 405,58 ლარის ოდენობით)** შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსის“ გათავისუფლება.
მომხრე-10, წინააღმდეგი-0
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსს“ (ს/ნ: 405680348) შორის 2024 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-801-1-30561 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსის“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა N30-ში მდებარე N01.19.37.016.233, N01.19.37.016.234, N01.19.37.016.237, N01.19.37.016.238 და N01.19.37.016.239 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობიდან ეტაპობრივად, შესაბამისი პროპორციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი, ჯამურად 1000 კვ.მ ფართის ნაწილის (118 კვ.მ)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების თაობაზე“ .
გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის განკარგულებებით მოწონებულ იქნა და დამტკიცდა ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა N30-ში მდებარე N01.19.37.016.003 საკადასტრო ერთეულზე (დღეის მდგომარეობით: N01.19.37.016.233, N01.19.37.016.234, N01.19.37.016.237, N01.19.37.016.238 და N01.19.37.016.239) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ამასთან, აღნიშნული განკარგულებების საფუძველზე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას განესაზღვრა, სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის მიზნით, თბილისის მუნიციპალიტეტისთვის 1000 კვ.მ საცხოვრებელი ფართის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის ვალდებულება.
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის 2025 წლის განცხადებებით მოთხოვნილია საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა N30-ში მდებარე N01.19.37.016.233, N01.19.37.016.234, N01.19.37.016.237, N01.19.37.016.238 და N01.19.37.016.239 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ასაშენებელი ფართების ეტაპობრივად, შესაბამისი პროპორციით, ჯამურად 1000 კვ.მ-ის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა, სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის მიზნით და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება.
საპატრიარქოს მიერ წარმოდგენილია ინფორმაცია (სქემა) აღნიშნული ფართების ეტაპობრივად, შესაბამისი პროპორციით გადმოცემის თაობაზე (პირველი ეტაპი - 118 კვ.მ (სექტორი 1); მეორე ეტაპი - 165 კვ.მ (სექტორი 2); მესამე ეტაპი - 107 კვ.მ (სექტორი 5); მეოთხე ეტაპი - 320 კვ.მ (სექტორი 6); მეხუთე ეტაპი - 290 კვ.მ (სექტორი 7).
თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია 1000 კვ.მ ფართის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემა განხორციელდეს ეტაპობრივად, სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის მიზნით.
წარმოდგენილი ხელშეკრულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცემა ზემოხსენებული 1000 კვ.მ ფართიდან საცხოვრებელი ფართების მხოლოდ ნაწილი, კერძოდ, N01.19.37.016.233 საკადასტრო ერთეულიდან 118 კვ.მ.
მომხრე-10, წინააღმდეგი-0
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა N30-ში მდებარე N01.19.37.016.233, N01.19.37.016.234, N01.19.37.016.237, N01.19.37.016.238 და

ნაგებობიდან ეტაპობრივად, შესაბამისი პროპორციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი, ჯამურად 1000 კვ.მ ფართის ნაწილის (118 კვ.მ)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების თაობაზე“ **საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის N496 განკარგულებაში ცვლილების შესახებ.

გიორგი კობიაშვილის მოხსენებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ოქტომბრის N25.1646.1848 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის N496 განკარგულებებით , მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ლელა პატიაშვილის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩისა და თამარაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე არსებული 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.042.188) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა საკუთრებაში მიღებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა საკუთრებაში რეგისტრირებული ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 13 ნოემბერს განცხადებით მიმართა ლელა პატიაშვილმა და მოითხოვა ხელშეკრულებაში ცალკეული დამაზუსტებელი ხასიათის ცვლილებების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის N496 განკარგულებაში და განკარგულების დანართი ჩამოყალიბდა ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

მომხრე-10, წინააღმდეგი-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის N496 განკარგულებაში ცვლილების შესახებ, **საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ლევან არველაძე**